პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

სამშაბათი, 15 ივნისი 1937 წ. № 135 (4936)

დღეს გაზეთში:

— საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება ურყევია („პრავდის“ მეთაური)
— მთელი საბჭოთა ხალხი მიესალმება ჯაშუშთა დახვრეტას.
— ამხ. ი. თ. თევოსიანი—თავდაცვის მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე.
— ინჟ. ა. კოჩლავაშვილი—მოსკოვ-ვოლგას არხი (ფელეტონი).
— ს. ჩანბა—აფხაზური ლიტერატურა (ფელეტონი)

უცხოეთში:
— უცხოეთის პრესის გამოხმაურება საბჭოთა-ფინეთის განაჩენზე.
— ესპანეთის ფრონტებზე.
— გენ. მიახას ახალი დანიშვნა
— „კლარიდადი“ მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალების პოზიციის შესახებ.

13 ივნისს თბილისში საწარმოებში შესდგა მშრომელთა მასობრივი მიტინგები, რომლებზეც მოისმინეს ცნობა ფაშისტ-ჯაშუშთა, სამშობლოს მოღალატეთა საქმეზე სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სპეციალური საკრებულოს განაჩენის შესახებ.
სურათზე: მიტინგი ამხ. კუდრიავცევის სახელობის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება ურყევია!

მძლავრ სალკლდესავით აღმართულა საბჭოთა კავშირი კაპიტალისტური გარემოცვის მძვინვარე ზღვაზე. თვითეული წელი, თვითეული თვე, თვითეული დღე აძლევს მსოფლიოს ჩვენი სამშობლოს ძალის, მის სიმდიდრეთა, მისი ძლიერების, მისი თავდაცვისუნარიანობის ზრდის სულ ახალ, სულ უფროდაუფრო მკაფიო დამამტკიცებელ საბუთებს. ჩვენი ძლიერების ერთერთი მაჩვენებელია ფაშისტი ჯაშუშების ტუხაჩევსკის, იაკირის, უბორევიჩისა და სხვათა—უცხოეთის იმ ერთი სახელმწიფოს სამხედრო-ჯაშუშური ბირთვის განადგურება და მოსპობა, რომელიც არამეგობრულ პოლიტიკას ატარებს სსრ კავშირის მიმართ.

ომის გამჩაღებლები დიდ იმედებს ამყარებდნენ ამ სამხედრო-ჯაშუშურ ჯგუფზე. თავისი დაქირავებული აგენტების დახმარებით უცხოეთის ერთერთი სახელმწიფოს გენერალური შტაბს იმედი ჰქონდა მიეღწია წითელი არმიის დამარცხებისათვის, საბჭოთა კავშირის დამარცხებისათვის. თავის ჯაშუშთა ძირგამომთხრელ მუშაობაზე „გეგმავდნენ“ თავის დაპყრობითს. გეგმებს ბატონი გებელსები და მათი მსგავსნი. ეს **გეგმები** გამოაშკარავებულია, **ისინი სასტიკად ჩაიშალნენ!**

გზააბნეულმა ფაშისტმა მზვერავებმა და მათმა ბატონ-პატრონებმა ველური ღრიანცელი ასტეხეს ტუხაჩევსკის, იაკირის **და** სხვათა **სამხედრო-ჯაშუშური** ბანდის განადგურებასთან დაკავშირებით. დალუპულ, მათთვის ძვირადღირებულ, **ჯაშუშთა** გამოტირებას გერმანიისა **და** იაპონიის პრესაში თან სდევს ყვირილი „სსრ კავშირის სისუსტეზე“, „აჯანყებებზე მოსკოვში“, „არევ-დარევაზე წითელი არმიის რიგებში“ **და** სხვა ასეთი ბოდვა. **როგორც სჩანს, მათ ავიწყდებათ, რომ მოსკოვი ტოკიო არ არის, სადაც სამხედრო წრეების ესათუის პატარა ჯგუფი დღისით — მზისით ყელსა სჭრის მინისტრებს. ისეთი დისციპლინა არმიაში, მთავრობის ისეთი მხარდაჭერა მთელი მოსახლეობის მიერ, როგორიც სსრ კავშირში გვაქვს,—არცერთ ქვეყანას მსოფლიოში არ უნახავს და ვერც ნახავს!**

რეაქციული პრესის ბოდება ვერ დაფარავს სსრ **კავშირში** სამხედრო შემოჭრის ფაშისტური **გეგმების** მხილებისა და ჩაშლის **აშკარა** ფაქტს. ყოველ სოლიდმოაზროვნე ადამიანს ესმის, **რომ ფაშისტ ჯაშუშთა** განადგურება **და** ალმოფხვრა **სსრ** კავშირში, მათი გამორეკა ყველა სოროდან ვიდევ უფრო აღიდებს ჩვენი სამშობლოს ძალას, **წითელი არმიის** ძლიერებას!

თუ ვინმე შესუსტდა სამხედრო-ჯაშუშური ბანდის განადგურებით, ცხადია, **არა საბჭოთა კავშირი, არამედ დახვრეტილ ჯაშუშთა ფაშისტი** ბატონ-**პატრონები. მათი ვენერალური** შტაბის **გეგმები ჩამოაშკარავებულია, მათი კოზირი გაჭრილია, მათი სტრატეგიული ზრახვები აშკარა შეიქმნა, მათი აგრესიის მიმართულება და ომის გეგმები ცნობილი გახდა.**

აქვს გაკოფების მიზეზი გერმანიის პრესას, რომელმაც **გააფთრებული** ანტისაბჭოთა **კამპანია** გააჩაღა. ფაშისტ აგრესორთა **მზარდ სიხუსტეს უპირისპირდება ჩვენი მზარდი ძალა!**

სამარცხვინოა **გერმანიაში** ფაშისტების ხუთი წლის ბატონობის შედეგი. თვით **კაპიტალისტებს** აღარ შეუძლიათ დაუმალონ მსოფლიოს, რომ სულ უფროდაუფრო **ძლიერდება** შიშილობა **გერმანიაში.** მრეწველობა თითქმის მთლიანად **გადასულია** ომის იარაღების **წარმოებაზე.** ნათესი ფართობი ძლიერ არის შემცირებული — მიწას ნთქამს აეროდრომები და უზარმაზარი საკონცენტრაციო ბანაკები მუშებისათვის. ვალუტა—მარკა—თითქმის ერთიორად დაეცა. ფასები იზრდება, რაც დამეცა. ფასები იზრდება, **ხალხი** ამბობს: „ეს **ომი** ბოლოს **მოგვიღებს.**“ **ეს** ... **ომ**ის **ბ**ოლ**ოს** ... **ომ**ის **ბ**ოლ**ოს** ... **ომ**ის **ბ**ოლ**ო

მარიამ ილიას-ასულ ულიანოვას დაკრძალვა

უკანასკნელი გამოთხოვება

მოსკოვი, 15 ივნისი (საქდესი). გუშინ დილით ადრე კავშირების სახლისაკენ დედაქალაქის ყველა კუთხიდან მიდიოდნენ ათასობით მოსკოველები, რათა გამოთხოვებოდნენ უსაზღვროდ ერთგული ბოლშევიკი, თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ლენინ-სტალინის საქმისათვის დაუღალავი მებრძოლის მარიამ ილიას-ასულ ულიანოვას ნეშტს.

სვეტებიან დარბაზში მოსულ ადამიანთა სახეებს ღრმა მწუხარების ბეჭედი აზის. აქ ყვავილებითა და გვირგვინებით მორთულ პოსტამენტზე დადგმულია ურნა მარიამ ილიას-ასულის ნეშტით. ყვავილებს შორის არის მისი პორტრეტი და წითელი ხავერდის პატარა ბალიშ-ზე ლენინის ორდენი.

დარბაზში გაისმის სამგლოვიარო მელოდიები. ურნასთან საპატიო ვახტაში არიან დედაქალაქის რაიონების დელეგაციები. პირველ ცვლაში არიან პროლეტარული რაიონის მუშათა დელეგატები.

საპატიო ყარაულში დგება ნადეჟდა კონსტანტინეს-ასული კრუპსკაია. იგი ჩაფიქრებული და სევდიანი სახით დაჰყურებს სამგლოვიარო ურნას ახლობელი მეგობრისა და თანამებრძოლის ნეშტით.

14 საათსა და 50 წუთზე საპატიო ვახტაში არიან ამხ. მანუილსკი, ვილჰელმ პიკი, ანდრე მარტი, ერკოლი, ფლორინი, ვან-მინი, კუუსინენი და სხვები.

16 საათსა და 45 წუთამდე ცვლებში დგანან ამხ. ხრუშჩოვი, ანტიპოვი, სტეცკი, აკულოვი, სულიმოვი, ბუდიონი, ბაუმანი, ბულგანინი, ზემლიაჩკა, ნაზარეტიანი, ვიშინსკი, კალინინა, ბლიუმენტალ-ტამარინა, სტასოვა, ნალეპსკი, პოლონსკი, ვეინბერგი, დრიზული, ლოზოვსკი, ვეისბროდი, ½ ბელენკი, პოდვოისკი, ბადაევი, ჟურსკი და სხვ.

დარბაზს არ შორდებიან ¾ 11. ულიანოვას ნათესავები და ახლობლები.

17 საათი. გამოთხოვების უკანასკნელი წუთები. დარბაზში სიჩუმეა. საპატიო ყარაულში დგებიან ამხ. ნაგები სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, მიკოიანი. ჩუბარი, ეჟოვი, ანტიპოვი. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები ეთხოვებიან ნეშტს უძველესი ბოლშევიკის მარიამ ილიას-ასულ ულიანოვისას, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე პროლეტარული რევოლუციის საქმეს, მუშათა კლასის საქმეს შესწირა.

ურნის გვერდით მიდიან სსრ კავშირის სახკომშაბჭოს. საბჭოთა კონტროლის კომისიის, პარტიული კონტროლის კომისიის მუშაკები. სვეტებიან დარბაზში შეავლა სწყდება.

ურნასთან, რომელშიაც ვ. ი. ულიანოვას ნეშტი განისვენებს, მიდიან ამხანაგები მიქოიანი. ჩუბარი, ანტიპოვი, აკულოვი, სულიმოვი, ხრუშჩოვი, ბუდიონი. ბუბნოვი, ლიუბიმოვი, რუხიმოვიჩი, ვიშინსკი, სტეცკი, ბულგანინი, ფილატოვი. ისინი მაღლა სწევენ კატაფალკს და გამოაქვთ იგი კავშირების სახლიდან.

17 საათი და 40 წუთი. სამგლოვიარო პროცესია რომლის ბოლოში საპატიო სამხედრო ესკორტი მიდის, ნელა მიიწევს მოსკოვის მშრომელთა კოლონების გვერდით, რომლებიც ძირს დახრილი დროშებით ჩანწკრივებულან და მოსულან, რათა უკანასკნელად გააცილონ მარიამ ილიას-ასულის ნეშტი.

სამგლოვიარო მიტინგი წითელ მოედანზე

წითელი მოედანი ავსებულია უაბრიკების, ქარხნების და დედაქალაქის ყველა რაიონის დაწესებულებათა დელეგაციებით. დროშებს შემოვლებული აქვს შავი ლენტები. კოლონების თავზე მოსჩანს მ. ი. ულიანოვას პორტრეტები.

გაისმის სამგლოვიარო ჰარშის ხმები. პროცესია შედის მოედანზე და უახლოვდება ლენინის მავზოლეის. კატაფალკს ურნით სდგამენ წითელ პოსტამენტზე.

ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, ჩუბარი, მიქოიანი, ეჟოვი, კრუპსკაია, ანტიპოვი, სულიმოვი, ხრუშჩოვი, სტეცკი, ბულგანინი, ზემლიაჩკა, ფილატოვი.

18 საათი. მიკროფონთან მიდის ამხ. ანტიპოვი, იგი გახსნილად აცხადებს მარიამ ილიას-ასულ ულიანოვას ხსოვნისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგს.

სრულიად-საკავშირო კოუნისტური პარტიის (ბოლშევიკთა) ცენტრალური კომიტეტის და მთავრობის სახელით გამოდის ამხ. ჩუბარი. შემდეგ მოსკოვის ორგანიზაციებს სახელით სიტყვას ამბობს ამხ. ფილატოვი და საბჭოთა კონტროლის კომისიის სახელით—ამხ. ზემლიაჩკა.

მ. ი. ულიანოვას ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო მიტინგი დამთავრდა.

ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, მიქოიანი, ჩუბარი, ეჟოვი და ანტიპოვი მიდიან კატაფალკთან, ფრთხილად იღებენ მას ხელში და მიაქვთ კრემლის კედლიხაკენ.

18 საათი და 30 წუთი. ამხ. ანტიპოვი სდგამს ურანს ქვაბულში. გრიალებს სალუტი. სამგლოვიარო მარშს სცვლის „ინტერნაციონალი“.

შავ მარმალილოს დაფაზე, რომლითაც ქვაბული დაიხურა, ასეთი წარწერაა:

მარიამ ილიას-ასული ულიანოვა
18 III 78 — 19 VI 37

უცხოეთის პრესის გამოხმაურება

უზენაესი სასამართლოს განაჩენზე

ომის დანაშაულებრივ ცეცხლგამჩაღებლებს ჩაეცათ გამანადგურებელი ლახვარი

ლონდონი, 12 ივნისი (საქდესი). კომპარტიის ორგანო „დეილი უორკერი“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობამ სამასხურო გაუწია საერთაშორისო მუშათა მოძრაობას თავისი სიგნალით. რომ „ჯაშუშის გამომეტყველება, სწერს „დეილი უორკერი“, წარმოადგენს განსაკუთრებულად ზნეშენელოვან გაკვეთილს მთელი მუშათა კლასისათვის, მოწმობს იმას, რომ საჭიროა მუდმივი

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მიმართა

პარიზი, 12 ივნისი (საქდესი). „ლუმანიტე“ აქვეყნებს ტუხაჩევსკის და 7 სხვა გამცემლისა და ჯაშუშის ღალატის გამო საფრანგეთის კომპარტიის შემდეგ მიმართვას:

„იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირის ხალხები ემზადებიან იდღესასწაულონ დიადი პროლეტარული რევოლუციის 20 წლისთავი, იმ დროს, როდესაც მთელი მსოფლიოს მშრომელნი აღფრთოვანებით მიესალმებიან სოციალიზმის ქვეყნის გრანდიოზულ მიღწევებს, იმ დროს, როდესაც ბოლშევიკთა პარტიის — მისი ცენტრალური კომიტეტისა და ჩვენი დიდი ამხანაგის სტალინის ხელმძღვანელობით სოციალისტური ცივილიზაცია გვიჩვენებს მთელს თავის უპირატესობას თავაწყვეტილ ფაშისტ ბარბაროსთა წინაშე, იმ დროს, როდესაც საბჭოთა ავიაცია მთელს დედამიწას უჩვენებს ჩრდილოეთის პოლუსზე მისი ცივილიზატორული და ჰუმანიტარული მისიის მთელს სისრულეს ჰიტლერისა და მუსოლინის ავიაციისგან განსხვავებით, რომელიც ანგრევს ესპანეთის დაუცველ ქალაქებს, ამ დროს კაპიტალიზმისაგან მოსყიდული სანზღარი ადამიანები ცდილობდნენ მახეებენ რა ფიზიზლად, მათ ჩაშალეს საერთაშორისო ფაშიზმის გეგმები.

ხალხის ჭართლმსაჯულება დაუნდობლად უნდა გაუსწორდეს მოღალატეებს, რომელთაც აქეზებდნენ ომის გაჩაღებლები. ბოლო უნდა მოვუღოთ გამცემლებსა და ფაშიზმის ტროცკისტულ აგენტებს, რომელნიც თავიანთ დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევიან.

ჟუმარჯოს ბოლშევიკთა სახელოვან პარტიას, ოომელიც ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ფხიზლად დარაჯობს საბჭოთა კავშირს ბედსა და სოციალიზმის მომავალს.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!“

ბერლინის დაზვერვის უბადრუკი თავდაძვრენა

ბერლინი, 13 ივნისი („პრავდის“ საკ. კორ.) (საქდესი). გერმანიის ათასა კვლავ დიდ ადგილს უთმობს გაბაჩენს გამცემელთა და ჯაშუშთა საქმეზე, რომელნიც ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ წითელი არმიის ძლიერებისათვის. მისი „ინფორმაციის“ შთავარ წყაროებს, ჩვეულებრივ წარმოადგენენ სამსახურგამწეები ჰოლონური საგენტოები და გაზეთები.

გერმანიის ფაშისტური პრესა ცდილობს დაამტკიცოს, რომ „საზიზღარი მოღალატენი არ იყვნენ ფაშისტური ქვეყნების ჯაშუშური დაზვერვის პირდაპირი აგენტები.

ფაშისტური პრესის ეს უბადრუკი თავდაძვრენა ხელს აფარებს არა იმცენად საზიზღარ მოღალატეებსა და ჯაშუშებს, რამდენადაც ცდილობს თეთრად მოგვაჩვენოს სათანადო ფაშისტურ დაწესებულებათა ჯაშუშური მუშაობა.

უნდა აღინიშნოს, რომ „ფრანკფურტერ ცაიტუნგი“ განაჩენისადმი მიძღვნილ მოწინავეში ფრთხილი ფორმით მაინც საჭიროდ სთვლის მისცეს გაფრთხილება: დისციპლინა წითელ არმიაში წონადებურად ურყევია, და არ უნდა ეიგულისხმოთ, რომ პროცესმა ომამდენამდე მაინც შეასუსტა წითელი არმიის ძლიერებაო.

ა. კლიმოვი.

„მთელი ქვეყნის ხალხნი იწონებენ მკაცრ და სამართლიან განაჩენს“

ვალენსია, 13 ივნისი (საქდესი). კომპარტიის ორგანო „ფრენტე როხო“ სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სპეციალური სასამართლო საკრებულოს განაჩენს უძღვნის მოწინავე სტატიას სათაურით — „მსოფლიოს ყველა ნაწილში ხალხის მასები ჰგრძნობენ, რომ ფაშიზმს მძლავრი ლახვარი ჩაეცა“. გაზეთი სწერს:

„მთელი ქვეყნის ხალხთა მასებში ღრმა კმაყოფილება გამოიწვია ფაფიზისტთა ჯაშუშ - მოღალატეთათვის გამოტანილმა განაჩენმა. მსოფლიოს მშრომელმა მასებმა უწინარეს ყოვლისა დააფასეს ის, თუ რა სიმტკიცითა და სასწრაფოთ მოსპო საბჭოთა კავშირის მთავრობამ სამშობლოს ძოღალატეთა და ფაშიზმის აგენტთა ბანდა, რომელთაც მოახერხეს შემძერალიყვნენ უმაღლეს პოსტებზე არმიაში. ეს კმაყოფილება განსაკუთრებით დიდია ესპანეთში. ესპანელი ხალხი უაღრესად თავგამოდებულ და ულმობელ ბრძოლას აწარმოებს ფაშისტი ინტერვენტებისა და შინაური ფაშიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ. ჩვენი ხალხი, ისე როგორც მსოფლიოს ყველა ხალხი, იწონებს საბჭოთა სასამართლოს მკაცრ და სამართლიან განაჩენს. ეს განაჩენი წარმოადგენს მშრომელებისა და ხალხთა თავისუფლების აქტიურ და ენერგიულ დაცვას, იმ საქმის დაცვას, რასაც ჩვენ ასეთი გმირობითა და თავდადებით ვიცავთ ჩვენს ქვეყანაში.

არ შეიძლება დათმობისა და სირცხვილის გამოჩენა სამშობლოს მოღალატეთა, ფაშისტთა, ტროცკისტთა, ჯაშუშთა და მტრის აგენტთა მიმართ. ისინი შეუბრალებლად უნდა იქნენ მოსპობილნი. მხოლოდ მაშინ შეიძლება ხალხის ინტერესების დაცვა, თუ მათ ულმობელად მოვსპობთ. ნამდვილი ჰუმანიზმი, ნამდვილი ადამიანობა იმაში მდგომარეობს, რომ ყველაზე მაღლა დააყენონ ხალხის სიცოცხლე, კეთილდღეობა და მომავალი და მათი გულისათვის მოსპო მისი მტრები.

განაჩენი მძლავრი ლახვარია გერმანიის ფაშიზმისათვის.

განაჩენი წითელ არმიის ძლიერებისა და ერთიანობის მაჩვენებელია.

მაგალითი, რომელსაც ჩვენ გვაძლევენ საბჭოთა ბელადები, სსრ კავშირის ხალხი და არმია, ჩვენთვის კანონი და სახელმძღვანელო უნდა იყოს. ისე, როგორც ისინი იცავენ თავს, ჩვენც, განსაკუთრებით ამ ულმობელ ომში, უნდა დავიცვათ ჩვენი ხალხი“.

თავდაცვის მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ ამხ. ი. თ. ტევოსიანის დამტკიცების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ამხ. ივანე თევოსიანი თავდაცვის მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე — მ. კალინინი

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი — ი. აკულოვი

მოსკოვი, კრემლი.
1937 წ. 13 ივნისი.

ამხ. ა. ვ. ბაკულინის დამტკიცებაზე გზათა სახალხო კომისრის მოადგილედ პოლიტიკურ ნაწილში

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცებულ იქნას ამხ. ალექსი ბენედიქტეს-ძე ბაკულინი გზათა სახალხო კომისრის მოადგილედ პოლიტიკურ ნაწილში.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე — მ. კალინინი

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი — ი. აკულოვი

მოსკოვი, კრემლი.
1937 წლის 8 ივნისი.

◇ ◇ ◇

ამხ. ზიმინი — საკ. ჯ. ჯ. (ბ) იაროსლავის საოლქო კომიტეტის მდივანი

იაროსლავი, 13 ივნისი (საქდესი). გუშინ საღამოს დამთავრდა II საოლქო პარტიული კონფერენცია, რომელმაც მაღალ იდეურ დონეზე ჩაიარა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩი და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელ პარტორგანოების განყოფილების გამგე ამხ. მალენკოვი.

კონფერენციაზე დიდი სიტყვით გამოვიდა ლ. მ. კაგანოვიჩი, რომელმაც მკაცრად გააკრიტიკა იაროსლავის საოლქო კომიტეტის და, კერძოდ, მისი პირველი მდივნის ამხ. ვაინოვის მუშაობა.

○

დღეს შესდგა საკ. კ. პ. (ბ) იაროსლავის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც ფარული კენჭისყრით აირჩია საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის მდივნები და ბიურო. საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. ზიმინი, მეორე მდივნად — ამხ. პოლუმორდვინოვი.

◇ ◇ ◇

ქრონიკა

სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა გაათავისუფლოს ამხ. ნ. ნ. ზიმინი გზათა სახალხო კომისრის მოადგილის მოვალეობისაგან პოლიტიკურ ნაწილში, მისი სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

აფხაზეთის მწერალთა დელეგაცია თბილისში

სოხუმიდან თბილისში ჩამოვიდა აფხაზეთის მწერალთა დელეგაცია.

დელეგაციაში შედიან: აფხაზეთის სახალხო პოეტი, ორდენოსანი დ. გულია, პოეტები **გ. ყვანია, ბ. შინკუბა, ი. ლაბახუა,** პროზაიკოსები **ნ. მიქავა** (აფხაზეთის საბჭოთა მწერლების კავშირის პასუხისმგებელი მდივანი), **გ. გულია,** აგრეთვე ბერძენი დრამატურგი და სოხუმის ბერძნული თეატრის ორგანიზატორი **ა. კანონიდი,** დელეგაციას მეთაურობს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარე ამხ. ს. ჩანბა.

დელეგაცია ჩამოვიდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ამხანაგური შეხვედრა საქართველოს მწერლებთან, უფრო ცოცხალი კავშირის დამყარება მწერალთა ორივე ორგანიზაციას შორის.

○

15 ივნისს მწერალთა სასახლეში გაიმართება საღამო — აფხაზეთის მწერალთა შეხვედრა ქართველ მწერლებთან.

უახლოეს დღეებში პლეხანოვის სახელობის კლუბში გაიმართება საღამო—აფხაზეთის მწერალთა დელეგაციის შეხვედრა თბილისის მშრომელებთან.

შემდეგ დელეგაცია გაემგზავრება სამხრეთ - ოსეთში, მოიარს ქუთაისსა და ბათომს, რის შემდეგ დაბრუნდება სოხუმში.

ბეტონისა და რკინა-ბეტონის საერთო მოცულობა უდრის 3.112 ათას კუბ. მეტრს. პანამის არხის გაყვანისას მიწის სამუშაოთა მოცულობა უდრიდა 220 მილ. კუბ. მეტრს, ხოლო ბეტონისა და რკინა-ბეტონისა—2.5 მილ. კუბ. მეტრს.

მოსკოვ-ვოლგას არხზე აგებულია მთელი რიგი პირველხარისხოვანი ნაგებობანი: არხი, კაშხალები წყალსაშვებით და წყალვარდნილებით, რაბები, ჰიდროსადგურები, ნავსადგურები, სატუმბო სადგურები, საავარიო და გადამლობი ფარები და სხვ. ყველა ეს შემადგენელი ნაწილები თავისი კონსტრუქციით წარმოადგენენ ურთიერთს შეერწყმებს მთელი არხის სისტემაში.

მოსკოვ-ვოლგას არხზე რაბებს აქვთ ცენტრალიზებული ავტომატური სამართველო. თვითეული ურთულესი ოპერაცია ღილზე ოთხის დაჭერით სრულდება. არხზე გამოყენებულია შორხილვის აპარატურა და ავტომატები. არხზე მთელი ელექტროტექნიკული ნაგებობა მოწყობილია ავტომატური მართვის პრინციპზე.

არხზე მოწყობილია გაერთიანებული სადისპეტჩერო პუნქტი შორხილვით მართვის საფუძველზე. დისპეტჩერს საშუალება აქვს ნებისმიერ შეაჩეროს ამოთუმ სადგურის ტუმბოები. არხზე გამოყენებული არ იქნება არცერთი სატელეფონო აპარატი. მათ შესაცვლელ შორხილვის აპარატურა.

ყველაზე საამაყო არის ის, რომ არხის მთელი მოწყობილობა დამზადებულია საბჭოთა კავშირის ქარხნებში.

არხის ნაპირები ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი იქნება მოსახლეობის დასასახლებლად. არხი შემოსილია არქიტექტურული ძეგლებით.

ამრიგად, გენიოსი სტალინის ინიციატივით შექმნილი მოსკოვ-ვოლგის არხი სტალინური ეპოქის ბუმბერაზული ნაგებობაა, რომლის მსგავსი არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას.



დამთავრდა სტალინური ეპოქის უდიდესი ძეგლის — მოსკოვ — ვოლგას არხის მშენებლობა, დღეს, 15 ივნისს, იწყება არხით გემების ნორმალური მიმოსვლა. სურათზე: ხიმკის ბაგზალი მოსკოვ-ვოლგას არხზე. ბაგზლის წინ მდინარეში — თბომავალი „იოსებ სტალინი“.

ინჟ. ა. კოჩლავაშვილი

მოსკოვ — ვოლგას არხი

სტალინური ეპოქის უშესანიშნავესი ნაგებობის მშენებლობა დამთავრდა. დიდი სტალინის გრანდიოზული გეგმისა და ბოლშევიკების მტკიცე ნებისყოფის ძალით რუსეთის უზარმაზარი მდინარე ვოლგა სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქში შევიდა და კრემლის კედლებს ჩაუარა.

ჩვენი სამშობლოს თვალუწვდენელ სივრცეზე კლდეებსა და მდინარეთა შორის, ბალტიკის ნაპირებიდან მოყოლებული წყნარ ოკეანემდე, ყინულოვან ოკეანიდან პამირის მთების კალთებამდე, ფინეთის ცივ კლდეებიდან მზიან კოლხიდამდე და ყველგან, ყოველ კუთხეში ბოლშევიკები ახდენენ ბუნების, მთელი ქვეყნის გეოგრაფიის გარდაქმნას. გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის მუშათა კლასი მთელ მსოფლიოს საქმით უჩვენებს თავისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ძლიერების ზღაპრულ ნიმუშებს.

ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი ლენინ-სტალინის პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით ყოველდღიურად ახალ-ახალ გრანდიოზულ წარმატებებს აღწევს მშენებლობის ყველა ფრონტზე.

ის, რაც საუკუნეების მანძილზე ხელუხლებელი რჩებოდა, ბოლშევიკების ხელმა შესცვალა. ჩვენი ქვეყანა ათასი წლობით გაჭრილი კალაპოტით მიდიოდა კაბიის ზღვისაკენ, ხალხის შეგნებაში ღრმად იყო აღბეჭდილი ვოლგას კალაპოტის უცვლელობა და ხალხიც უმეორდა შობლიურ ვოლგას „მარად უცვლელ მდგომარეობას“.

Не заставит солнце красное.
Не заставит месяц на небе.
Не заставит Волгу-матушку.
Волгу-матушку кормилицу
Изменить свое направление,
Что всевышним предуказано...

მაგრამ ძლავრი მდინარე, ოუსეთის მდინარეთა შორის უძლიერესი, დედა-ვოლგა იძულებული გახდა დაეშორჩილოს ადამიანის ნებას, შეიცვალოს თავის დინების ძველთაგან დაწესებული მიმართულება. 1931 წ. ბოლშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ერთხმად მიღებულ იქნა გენიოსი სტალინის ინიციატივით წამოყენებული იდეა ახალი სანაოსნო გზებისა და ხუთი ზღვის ერთიმეორესთან დაკავშირების შესახებ.

ითქვა — გაკეთდა! ასეთია ბოლშევიკების ბუნება: ბოლშევიკებმა შესცვალეს ვოლგის მიმართულება და ახლა ხალხის სიმღერაც დარჩა მხოლოდ როგორც ფოლკლორი, ძველი რუსეთის წარსულის გამომხატველი. ახლა ჩვენი ხალხი ახალ სიმღერას მღერის არა ვოლგაზე, არამედ მოსკოვ-ვოლგის არხის შესახებ.

მოსკოვ-ვოლგის არხს მიზნის, მასშტაბის და აზრის თვალსაზრისით არ აყვს ბადალი.

მართალია, კაპიტალიზმმა თავისი განვითარების პერიოდში შეჰქმნა დიდი ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, როგორიცაა სუეცისა და პანამის არხები, მაგრამ არც ერთს, არც მეორეს არ ძალუძთ მეტოქეობა გაუწიონ სტალინური ეპოქის ამ გრანდიოზულ ნაგებობას არც სამუშაოთა მოცულობის სიდიდის, არც მათი შექმნის დროის მხრივ.

პანამის არხი ბურჟუაზიული ტექნიკის კოლოსალური მიღწევაა, მაგრამ იგი ამავე დროს წარმოადგენს კაპიტალისტური ძარცვისა და ადამიანთა განადგურების სიმბოლოს. პანამის არხის მშენებლობაზე მიდიოდნენ ადამიანები, რომლებიც მანამდე სარგებლობდნენ ყოველმხრივ წესიერ ადამიანთა რეპუტაციით და ბრუნდებოდნენ ჭურდებისა და მძარცველების რეპუტაციით. პანამის არხის მთავარი მშენებელი — ჭეშმარიტად უნიჭიერესი ინჟინერი და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა პოეტი — პანამის არხის მშენებლობაზე ბოროტმოქმედად გადაიქცა.

პანამის არხის გაყვანასთან დაკავშირებულია 50.000 ადამიანის დაღუპვა იმ არაადამიანური პირობების გამო, რომელიც ათობის მშენებლებმა შეჰქმნეს.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში მშრომელი ხალხი იძულებულია ემსახუროს გაბატონებული კლასის მიზნებს. კაპიტალისტურ ქვეყნებში ადამართულ თვითეული ნაგებობაში მოსჩანს დადუპულ მშრომელთა გაჭეავებული ძვლები. განა ცნობილი არ არის, რომ კონგოში მეფის საბელგანთქმულ გზაზე თვითეული კილომეტრი გზის გაყვანას მსხვერპლად შეეწირა ორი ათასი ადამიანის სიცოცხლე. და განა მარტო კონგოში? ეგზოტიკური ქვეყნების უღრანი ადგილები, ყველგან, სადაც ეკ კაპიტალიზმის თათი შეეხო, ამ ქვეყნების ნიადაგი გაძვალტყავებულ მონათა ოფლითა და სისხლით არის გაჟღენთილი.

გინდათ იცოდეთ სად არის ჭეშმარიტად თავისუფალი შრომა? შეხედეთ საბჭოთა კავშირს, მის ხალხს, ამ ხალხის შრომითი ენტუზიაზმს და დაინახავთ ჭეშმარიტად ნებაყოფლობითი შრომის სახეს. სად, როდის, რომელ ქვეყანაა ახსოვს მაგალითად ასეთი ამბავი, რომ ყოფილი პატიმრები, თეთრი ზღვის არხის მშენებლები თავისი ნებასურვილით აგრძელებენ უფრო გრანდიოზულ არხზე — მოსკოვ-ვოლგას არხზე მუშაობას. არსად, არასოდეს, გარდა საბჭოთა კავშირისა, სადაც პატიოსანი შრომა ხალხის საკეთილდღეოდაა მიმართული, მოქალაქის ყველა უფლებებს უბრუნებს იმათაც კი, ვინც მრავალ წელს ცხოვრების „მოლიპული გზით“ მიდიოდნენ. მხოლოდ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში შეიძლება განვითარდეს ნამდვილად ნებაყოფლობითი შრომა და მის საფუძველზე ძირფესვიანად გარდაიქმნას ადამიანთა მისწრაფებანი და ხასიათი. მშენებლობის პათოსის აზვირთებულ ტალღებში სწარმოებს ადამიანთა ხელახლად დაბადება, ცხოვრების ახალი გზებისა და ფართო ასპარეზის გადაშლა.

როგორც თეთრი ზღვის არხის, ისე მოსკოვ-ვოლგას არხის მშენებლობა და დამთავრება წარმოადგენს ჩვენი ხალხის, არა მარტო შემოქმედებითი ენტუზიაზმისა და გაბედულ ჰიდროტექნიკური აზრის ტრიუმფს, არამედ იგი წარმოადგენს ბუნებაზე ადამიანის გამეფებას ბრწყინვალე ნიმუშსაც. და არა მარტო ეს. ადამიანის წარმატებანი ბუნებაზე გამარჯვებისათვის ბრძოლაში ამავე დროს წარმოადგენს ადამიანის გამარჯვებას საკუთარ თავზე, რამდენადაც ადამიანი, სცვლის რა ქვეყნის გეოგრაფიას, ჰქმნის „მეორე ბუნებას“ (ვ. გორკი) და თვითონაც იცვლება.

მოსკოვ-ვოლგას არხი, სტალინური ეპოქის ეს მონუმენტალური ქმნილება, უდიდეს მიღწევად შევა აგრეთვე შინსახკომის წარმატებათა აქტივში. რამდენადაც შინსახკომმა თავისი აღმზრდელობითი აპარატით კიდევ ერთხელ ცხადჰყო, რომ, იგი არა მარტო სახელოვანი დამცველია ჩვენი დიადი სამშობლოსი, არამედ ამავე დროს უდიდესი პედაგოგი ადამიანთა საფუძვლიანი გარდაქმნის დარგშიც.

აშენდა თეთრი და ბალტიის ზღვების შემაერთებელი არხი და ამ ნაბიჯით მოსკოვი დღეიამეში მიიღებს 250 მილიონ ვედრა წყალს, რაც სავსებით დააკმაყოფილებს მოსკოვის გაზრდილ მოთხოვნას წყალზე.

ამჟამად მოსკოვის სანიტარული მდგომარეობა ვერა დგას საათანადო სიმაღლეზე, რადგან ისედაც პატარა მდინარე „მოსკვას“ უერთდება მთელი საკანალიზაციო სისტემა, რაც ანტისანიტარული მდგომარეობას უქმნის მოსკოვს. არხის გაყვანით ისპობა ანტისანიტარული მდგომარეობა, რადგან ვოლგას წყალი რეგულარულად ვასწმენდს მდინარე მოსკვას.

მოსკოვ-ვოლგას არხის ტრასა იწყება მდინარე ვოლგასთან მდინარე დუბნის შესართავის მახლობლად 8 კილომეტრის მანძილზე. აქ ვოლგის ბარჯვენა ნაპირზე 1934 წ. გაშენებული იყო სოფ. ივანკოვი, რომელიც არხის გაყვანასთან დაკავშირებით სხვა ადგილზე გადატანეს.

მდ. დუბნიდან დაწყებული არხის ტრასა მოდის სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით და 55 კილომეტრის შემდეგ უერთდება ქ. დმიტროვს. შემდეგ არხი სამხრეთისაკენ იღებს მიმართულებას და სადგურ იაშამდე გრძელდება. აქ ხელახლა მკვეთრად იცვლის მიმართულებას სამხრეთ - აღმოსავლეთით. სოფ. ივანკოვოსთან არხის ტრასა კიდევ ერთხელ ღებულობს სამხრეთის მიმართულებას და უერთდება მდინარე მოსკვას სოფ. ზჩუკინასთან. მთელი არხის სიგრძე მდ. ვოლგადან მოსკვამდე 128 კილომეტრს შეადგენს.

მოსკოვ-ვოლგას არხის მიწის სამუშაოების საერთო მოცულობა შეადგენს 154,4 მილიონ კუბ. მეტრს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იფურჩქნება, იზრდება ორდენოსანი აფხაზეთის კულტურა!

აფხაზური სიმღერა სტალინზე

ხალხური

ის ვაჟკაცია, ვაჟკაცთა შორის,
გმირებმა იცნეს უდიდეს გმირად,
ის გულში ბრუნვა და სიყვარული
არის უსაზღვრო, ვით ზღვაში წყალი.
ვინ მისცა ღარიბთ დღეს სიხარული?
— ეს არის ჩვენი ძვირფასი სტალინ.

ომში ვინ იღგა ვით მეთაური,
ვინ იყო ქვრივთა, ობლების მცველი,
მტერს ვინ არხევდა ცეცხლის ხმაურით,
ვინ დაირჩინა ბრძოლების ველი,
ვინ ასაჩუქრებს კარგ მუშას მარად,
ნუგეშისათვის ვისთან მიდიან,
ბავშვებს ვინ უყვარს მამაზე მეტად?
— ეს მეგობარი დღეს სტალინია.

ქოხში ტანჯულთა სულის კვეთებას
ვინ მიანათა ელვარე შუქი,
ჩვენ ვინ გვასწავლა ბედის კეთება
საკუთარ ხელით, საკუთარ ჭკუით?
და გათიშული ხელების ჯარი,
რომელშიც გეპყრო სიმინდის ტარო,
ვინ შეაერთა უძლეველ ძალით,
ხელთ მოგვცა ძალა და მიი ვხარობთ?
— ეს არის ჩვენი ძვირფასი სტალინ.

ვინ გვათქმევინა გალობა ტკბილი
და დაამსხვრია მძიმე ბორკილი,
ვინ უაქმა ხალხების ტკივილს,
წელში გამართა მონა მოხრილი
ლენინის დიდი თანამებრძოლი,
მისი მოწაფე და ქვეყნის თვალი,
ხალხის ერთგული და გულით ჩვილი?
— ეს არის ჩვენი ბელადი სტალინ.

თარგმანი ბ. პატარიძისა.

ხოჯანდუ

დიმიტრი გულია

თავმომწონეა ხოჯანდუ —
რით არ არის დიდი კაცი?
სახლკარი აქვს ჩინებული,
ეზო, ბაღი-თვალწარმტაცი.

ჰყავს ურიცხვი საქონელი:
ძროხის ჯოგი, ცხვრების ფარა,
ყოველდღე ჰკლავს, არ ილევა—
მდიდარია ის უქნარა.

მუდამ ყვლეფდა ქვრივს და
ობლებს,
კლეხებს ამოართვა სული,
ბევრი შორს გადაასახლა,
სხვებსაც სჩაგრავს თავგასული.

მეზობლები გადაჰკიდა,
ბევრი სისხლი დაიღვარა,
მტრობამ სულ გაანადგურა
სოფლად დიდი და პატარა.

და ხოჯანდუ კი იცინის,
თანაც ქელეხებში თვრება,
მეზობლების ჭირი ალხენს
ხახარულით ცარა სწვდება.

ხოჯანდუს ჰყავს შვილი ვაჟი,
ერთმანეთზე უკეთესი,
უყჩალობის და ქურდობის
მათ იციან შნო და წესი.

თავის კანონს თვითვე სწერენ
და ნაქურდალს აგროვებენ,
ვინც გაბედავს შეედავოს,
ცოცხალს ალარ დატოვებენ.

ასეთი ჰყავს ყველა ვაჟი,
თვით მამაზეც ავი, აბედი...
დღეს ხოჯანდუ ზარალშია —
მათაც ელით იგივ ბედი.

ჰა, გამოჩნდნენ მისი მტრებიც,
მის სახლ-კართან მიდგენ
ახლოს,—
აწვალებდა ის მშრომელ ხალხს,
ხალხი უხდის დღეს სანაცვლოს.

ხოჯანდუს რა მოუვიდა?
ის დიდ ხიფათს შეეყარა —
ჩამოართვეს მთლად ქონება,
ჯოგები და ცხვრების ფარა.

ეხლა ვინღა შეიჩრალებს,
თვით ხომ ულმობელი იყო?
ხალხს არაფრად არ აგდებდა,
დღეს კი ხალხმა ის გარიყა.

თარგმანი გრიგოლ ცეცხლაძისა.

აფხაზეთი

ს. ჩანბა

(ნაწყვეტი პოემიდან)

ვინ დაანთო ეს ძზე დიდი,
გაანათა მთების მხარე,
გაზაფხულით მორთო მიწა
და განდევნა სამწუხარე?

ეს ხომ ჩვენი სტალინია,
ძლევის შვილი, აფირხაცა*)
ის ანათებს მთების მაღლა,
და სიბნელეს ელვა დასცა.

ამხანაგი სტალინია
მძლეთა მძლე და ბრძენთა
ბრძენი.
ვერ შეწვდება მის სიმაღლეს
„ერცახუ“ და „მყინვარწვერი“.

ეს ის არის, გზის გამკვეთი,
მესაქე და კაპიტანი
სამშვიდობოს გაგვიყვანა,
გადალახა ზღვა და მთანი.

თარგმნა მიქელ პატარიძემ.

*) აფირხაცა — ვაჟკაცი, გმირთაგმირი.

აფხაზური თეატრი

დ. გულია

დ. ი. გულია
აფხაზეთის სახალხო პოეტი.

როდესაც ვსწავლობთ ახალგაზრდა აფხაზურ კულტურას, ჩვენ ვხვდებით სამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

პირველია 1891 წელი. ამ წელს მე შევადგინე კ. დ. მაჭავარიანთან ერთად პირველი აფხაზური ალფაბეტი და ანბანი, რომლებმაც პრაქტიკული გამოყენება ჰპოვეს ქვეყანაში. შემდეგ ამ ანბანის მიხედვით დაიწყეს სწავლა აფხაზებმა. წარმოიშვა შესაძლებლობა ხალხთან ლაპარაკისა მის მშობლიურ ენაზე. რასაკვირველია მეტად ძნელი იყო აფხაზური წიგნის პროპაგანდა მეფის თვითმპყრობელობის პირობებში. სკოლის საშუალებით, სადაც მეცადინეობა უმთავრესად რუსულ ენაზე სწარმოებდა. სხვა გზებზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა პირველ ხანებში. მაგრამ ასე თუ ისე საფუძველი ჩაყრილი იყო. წინ გველოდა ყოველდღიური მედგარი ბრძოლა.

მეორე ღირსშესანიშნავი თარიღი დაისახა მხოლოდ ცხრამეტი წლის შემდეგ. 1910 წელს მე გამოუშვი ლექსიკონის პირველი კრებული აფხაზურ ენაზე. წიგნი იბეჭდებოდა თბილისში, რადგან აფხაზეთში არ იყო არავითარი შესაძლებლობა ამისათვის. კრებულის გამოცემასთან დაკავშირებული დავიდარაბა მეტად ხანგრძლივი იყო, ამასთანავე ზოგიერთ ლექს უკანვე გზავნდნენ აფხაზეთში შინაარსის შესამოწმებლად. განსაკუთრებულ იქნს ბადებდა ლექსი „ხოჯან-დუ“. მთავარი მიზანი, რომელსაც მე ვისახავდი კრებულის გამოცემით, ეს იყო მეჩვენებინა აფხაზებისათვის ლექსის სხვადასხვა ფორმა და დამეწერგა მათში ლექსისადმი სიყვარული.

ლექსების წიგნი კიდევ ერთი საფეხური იყო რომელზედაც ამაღლდა აფხაზური კულტურა.

ამრიგად, გაჩნდა წყარო, საიდანაც წარმოიშვა აფხაზური მხატვრული ლიტერატურა. რჩებოდა კიდევ ერთი დარგი, ეს იყო დრამატურგია და თეატრი. მაგრამ მეფის რეჟიმის, შემდეგ კი მენშევიკების ბატონობის პირობებში აფხაზეთში ვერ წარმოიშვა ვერც დრამატურგია და ვერც თეატრი.

ისტორიული, ღირსშესანიშნავი თარიღია 1921 წელი, წელი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა აფხაზეთში, წელი პირველი აფხაზური თეატრის წარმოშობისა, წელი ლიტერატურის და საერთოდ აფხაზური კულტურის საერთო აღმავლობისა.

ორი-სამი თვის შემდეგ აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან მე წინადადება მომცეს შემედგინა აფხაზური დასი, შემერჩია რეპერტუარი და გავმგზავრებულიყავი აფხაზეთის რაიონებში. მე უდიდესი სიხარულით მოვკიდე ხელი საქმეს, მაგრამ იმ წუთშივე წავაწყდი ორ დაბრკოლებას, რომელთა გადალახვაც აუცილებელი იყო რათაც უნდა დაგვჯდომოდა. პირველი — სად უნდა გვეშოვნა რეპერტუარი და მეორე — აქტიორთა კადრები.

მართალია 1919 წლის ზაფხულს სოხუმის სამასწავლებლო სემინარიის (სადაც მე ვასწავლიდი) მსმენელებმა მ. ხაშბამ, ა. ხაშგამ, დ. დარსალიამ, ა. შაქაიამ და სხვებმა დასდგეს თავისი ძალებით ჩემ მიერ ნათარგმნი პიესები „უბედური დღე“ და „ორი მშიერი“ (ნათარგმნი იყო ქართულიდან), მაგრამ ეს იყო მხოლოდ სცენის მოყვარეთა პირველი ცდა.

რომ რამდენიმედ მაინც შემემუშუშებინა რეპერტუარის შიმშილი, მე ჩავუჯექი მუშაობას და მოკლე დროის განმავლობაში რუსულიდან ვთარგმნე ორი პიესა: „გაუმარჯოს თავისუფლებას“ და „მე მოვკვდი“. გარდა ამისა, გვქონდა ორი ნათარგმნი პიესა — „უბედური დღე“ და „ორი მშიერი“. ყველა ისინი კომიკური შინაარსის იყო, გარდა პიესისა „გაუმარჯოს თავისუფლებას“, რომელიც რევოლუციურ თემატიკაზე იყო დაწერილი.

იმ დროს მე ვასწავლიდი სოხუმის პედაგოგიურ ტექნიკუმში აფხაზურ ენას და ლიტერატურას. მოსწავლეთა ძირითად მასას აფხაზები შეადგენდნენ. სწორედ უფროსი კლასების მსმენელებისაგან შესდგა დასის ძირითადი ნაწილი.

ახლად ჩამოყალიბებული დასი უნდა შეგვემზადროვებინა, წარგვმართა ერთი მიზნისაკენ, გაგვეთვო ხელოვნების სიხარულით. ამ საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის განსვენებულ ანტონ შაქაიას. მან განსაკუთრებული დახმარება გაუწია დასის შექმნის საქმეს. ანტონ შაქაია სიხარულის ცრემლმორეული ლაპარაკობდა მომავალ გასტროლებზე, მაგრამ ის ვერ მოესწრო იმ წარმატებას, რომელიც წილად ხვდა დასის წევრებს. ის ტიფით გახდა ავად და გარდაიცვალა. ანტონ შაქაია ენტუზიასტი იყო, შემოქმედებითი ძალებით და უნარით აღსავსე.

ჩემდა მოულოდნელად დასში შესვლის სურვილი განაცხადა ორმა აფხაზმა ქალმა: ვერა ალანიამ და ვალია აჩბამ. ისინი გაბედულად შეუდგნენ მუშაობას და საუცხოოდ დასძლიეს თავისი ამოცანა. ამრიგად, მოგვარდა დასის საკითხიც. საბედნიეროდ ანსამბლის შემადგენლობაში აღმოჩნდა ბევრი საუცხოო შოცკეავე და მომღერალი, რომლებიც ამშვენებდნენ ჩვენს სპექტაკლებს სიმღერებითა და ცეკვით. სხვათა შორის ჩვენმა გუნდმა პირველად გაიტანა აფხაზეთის სოფლებში „ინტერნაციონალი“ აფხაზურ ენაზე, რომელიც მე და ს. ჩანბამ ვთარგმნეთ.

სამზადისი დამთავრდა. სახლში ჩემი ცოლი ამთავრებდა თეატრის ფარდის შეკერვას, ამზადებდნენ რეკვიზიტს და ბოლოს 1921 წლის ივლისში ჩვენ გასტროლებზე გავემგზავრეთ ოჩემჩირის რაიონში.

ამ დროიდან სექტემბრის შუა რიცხვებამდე ჩვენ განუწყვეტლივ ვმოგზაურობდით ჯერ ოჩემჩირის რაიონის სოფლებში, შემდეგ კი გუდაუთის რაიონში. რამდენიმე დადგმა უჩვენეთ ოჩემჩირეში და გუდაუთში, სულ კი დავდგით 15 სპექტაკლი. ჩვენი გასტროლები განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობდნენ მოსახლეობაში. ჩვენთვის ამ მოგზაურობას თან სდევდა განსაზღვრული სიძნელეები, მაგრამ მიუხედავად ამისა ის სასიხარულო დღესასწაული იყო. აფხაზური სცენური კულტურის პირველ დამნერგავებს ხალხი განსაკუთრებული აღფრთოვანებით ხვდებოდა. ჩვენმა მსახიობმა ქალებმა კი პირდაპირ გაოგვირვეს მაყურებლები. დასში განსაკუთრებული გამოირჩეოდნენ კ. შაქრილი, მ. ხაშბა და ვ. მაანი. ისინი ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ აფხაზეთის სახელმწიფო შერეული დასის წარმატებას.

1921-დან 1926 წლამდე პირველი მოძრავი თეატრის მონაწილენი პერიოდულად მართავდნენ სპექტაკლებს აფხაზეთის სხვადასხვა სოფლებსა და სკოლებში.

1928 წელს „თეატრალურ საქმეს ხელი მოჰკიდა ენერგიულმა კ. ძიძარიამ. ამჟამად ჩვენ უკვე გვაქვს აფხაზური პროფესიული თეატრი.

წარმატებები თეატრის დარგში ყოველდღიურად იზრდება. გაიზარდნენ ახალგაზრდა აქტიორები, შექმნილია აფხაზური გუნდის საუცხოო კოლექტივი. ბევრია ისეთი რამ, რასაც შეუძლიან გაახაროს მნახველის თვალი. ყველაფერი ეს შესაძლებელი გახდა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებით, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარებით.

◇ ◇ ◇

ქართული თეატრის სეზონი სოხუმში

ს. ჩანბა
აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, დრამატურგი ბელეტრისტი

ქართულმა თეატრმა სოხუმში დიდი წარმატებით დაასრულა სეზონი. თეატრის მთელი კოლექტივის მუშაობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა რეჟისორი ვახტანგ გარრიკი, ნაყოფიერი გამოდგა. სეზონის განმავლობაში თეატრმა დასდგა ათი პიესა: „ირსენი მარადფელი“ მიხ. ჯავახიშვილის რომანის მიხედვით, „სურამის ციხე“ ს. მთვარაძისა, „ოთარაანთ ქვრივი“ ილ. ჭავჭავაძის მოთხრობის მიხედვით, „მზის დაბნელება“ ბ. ანტონოვისა, „ხაბიჭვარი“ გ. ბუხნიკაშვილისა, „ძალატონ კრეიტი“ კორნეიჩუკისა, „ვინ არის დამნაშავე“ ნ. ნაკაშიძისა; კლასიკური პიესებიდან დადგა: „რომეო და ჯულიეტა“ უ. შექსპირისა, „ვერაგობა და სიყვარული“ ფრ. შილერისა და „ცხვრის წყარო“ ლოპე-დე-ვეგასი. განსაკუთრებული მოწონება და ინტერესი გამოიწვიეს „რომეო და ჯულიეტამ“, „ირსენი მარადფელმა“, „სურამის ციხემ“, „ვერაგობა და სიყვარულმა“ და „ცხვრის წყარომ“.

მომავალი სეზონის რეპერტუარში თეატრმა შესცვალა შემდეგი პიესები: „მამილო“ ი. ეკელისა, „გმირთა თაობა“ ს. კლდიაშვილისა, პიესები. რომლებიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის რევოლუციის 20 წლის თავს, და შოთა რუსთაველის საიუბილეო დღესასწაულს.

თეატრის ერთერთი კაპიტალური დადგმა შემავალ სეზონში იქნება შექსპირის „ჰამლეტი“, რომელზედაც მუშაობა თეატრმა უკვე დაიწყო, პიესა წაა სეზონის მეორე ხახევარში. თეატრს განზრახული აქვს ავრეთვე დასდგას პიესა უტუ მიქავას ცხოვრებიდან; პიესა თემატურად აგებული იქნება სამეგრელოს გლეხთა ჯანყების მასალაზე.

ამჟამად თეატრის კოლექტივი რაიონების მომსახურების მიზნით, წარმოდგენების გასამართავად გაემგზავრა გალში, ოჩემჩირეში, გუდაუთში და გაგრაში.

ს ვ ა ლ ი ნ ი

ლ. კვიციანია

(ნაწყვეტი)

გაშლის სიმღერა ბაღის კარებს, ვარდებს ნამიანს...
დაუღალავად ის აღიდებს ზეზ-ადამიანს.
იგი მიცქერის დიდებული: ჩემი ცხოვრება
უკვე არ არის წარსულ დღეთა განმეორება.
და მე ვიზრდები; სად იქნება ისეთი კაცი,
რომ შემეჯიბროს ძალლონეში ურჩი, მამაცი.
ისმის სიმღერა ჩემი სულის და აფხაზეთის,
კოლმეურნეთა ამღერება ძნიბლავს ასეთი.
თეთრ ჩაბალახით იცქირება ქვევით ერცახუ,
ჩვენ გაჭირვებას ალარ ვხედავთ, წარსულში ნახულს.
და შენს კოკონთა დიდ მინდვრებში სჩანან გმირები,
სადაც შავი ზღვის ხმაურია და ნაპირები.
ჩვენო არწივო ხარ გიგანტი დაუძლეველი,
ჩვენი მარჯვენაც ძლიერია, ცეცხლის მფრქვეველი!
სადაც არ უნდა გაიელვო მებრძოლი სახით,
შენ გიპასუხებს ჩვენი გული ერთი ცახცახით.
ყოველ ჩვენგანში იპოვიდი შენ ერთგულ ხაშმს,
ვაიგონებდი აღტაცებას სიერთო ხმაში!

თარგმანი ვალ. გაფრინდაშვილის.

კუშკინს

ლ. ლაბახუა

გულზე ხელებ დაწყობილი
დგას და სევდით უცქერს
სივრცეს.
თითქოს ფიქრნი—უთხრობელნი
საწამებლად მიუცვივდენ.
ირგვლივ ღამის წყვდიადია,
მაგრამ ეს ვერ აჭრობს ხანძარს
იმის ნიჭის სიდიადე
მის დუშმანებს სცემდა თავზარს,
სიმართლის გზა ფართო არის.
ის მფრინავი არაშია*)
და პუშკინის ტკბილი ქნარი
დაუდეგარ ზღვა-ხალხშია.
მეფე თითქოს განაგებდა
გენისოსის მბრწყინავ სახელს,
და დანტესის ხელით ბედათ
გულზე ტყვია დაახალეს.
ხალხს პოეტი მუდამ უყვარს,
ტირანებს კი—ანადგურებს,
კაცის მკვლელი ნასროლ ტყვიას
უკან როდი დააბრუნებს.
მოკლეს... სისხლი წითლად
გზინავს.
თმა დაფარა თეთრმა თოვლმა.
მაგრამ ლექსებს ყველგან
მფრინავს
ტირანები ხომ ვერ მოჭკლავს.
მტარვალების შავო ხროვავ,
მოგიგონებთ შავათ მუდამ.
ისტორიამ რაც სთქვა, მოხდა:
ხალხს უფლება დაუბრუნდა.
და დღეს პუშკინ, შენი ლექსი,
ვით ბრწყინვალე მზე ანთია.
ჩვენს გულშია შენი ფიწვი
შემოგხარით, ვით განთიადს.
შეგიძლია ხელებ გაშლით
დაივიწყო სევდის წლები.
დაივიწყო სევდის წლები.
დაივიწყო ფიქრი შავი...
შენ არასდროს დამიწდები.

*) არაშია — ზღაპრული ცხენი.

თარგმნა პეტრე სამხონიძემ.

ჭაბუკი

(აფხაზური ფოლკლორი).

მტრებს იმორჩილებს უშიშრად
მთებში,
ზღვების ნაპირად თავის კვალს
ჰკარგავს,
თეთრ ყაბალახით მორთულებს
სჯობნის
და ტანადობით ალვის ხესა
ჰგავს.
მის გამოჩენას ელიან ხარბად,
და როცა მოვა, არავის ეძინავს.
მისი ხმა ტკბილი ედრება
შარბათს,
და ძვირფას თვლებად სიტყვები
ბრწყინავს.
მხოლოდ ის არის სიტყვის
მკვერავი.
ცხენს მოაჭროლებს, ისე ვით
ქორი.
მტვერში ნალები ელავს
მზესავით,
არავინ ჰყავს ჯაბუკს ჯირითში
სწორი.
ცხენის ფეხის ხმა მეხივით
გრგვინავს.
მათრახი ელვას ჰაერში ჰბადებს;
ოქროს ქამარზე ხანჯალი
ბრწყინავს,
შავი სირმები ყაბალახს ადევს.
შაგრენის მესტებს მოურთავს
ფეხი
ხმალი ზარნაშით, დამბაჩა დიდი,
ვერცხლის ლაგამი და ოქროს
კეხი.
არა აქვს ჭაბუკს მეტოქის რიდი.
რომ შეუსრულდეს სურვილი
ფოთლებს, —
იქცენ უნაზეს ჰაპირუსებათ,
კალმებად ქცევა ეღირსოს
ყლორტებს
და ტოტებს ხისა — გრძნეულ
მგოსნებათ,
ღილთა და ოქმით ყოველი წამი
შენსა შემკობას შეეცდებოდენ,
და შენის ეშხით ამღერდებოდენ.
ჭაბუკის სახე ქარვის მსგავსია,
ულვაშის ღინღლი — სირმა
ნავერცხლი.
თვალები ფართე — ცეცხლით
სავსეა,
და წამწამები — ფრთებია
მერცხლის.
ნეტავ ჭაბუკო,
ახდეს წადილი!
ყელს შემოგეჭდო,
როგორც მანდილი.

თარგმანა კ. ნადირაძის.

აფხაზეთის მწერალთა საღამო

დღეს, 15 ივნისს, მწერალთა სასახლეში გაიმართება აფხაზეთის საბჭოთა მწერლების ლიტერატურული საღამო. შეკავალი სიტყვით გამოვა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ამხ. დ. დემეტრაძე. მოხსენებას აფხაზეთის საბჭოთა მწერლობის შესახებ გააკეთებს აფხაზეთის საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარე ამხ. ს. ჩანბა.

სიტყვებით გამოვლენ აფხაზეთის სახალხო პოეტი დ. გულია და ქართველი მწერლები.

თავის ნაწარმოებებს აფხაზურ ენაზე წაიკითხავენ: დ. გულია, ს. ჩანბა, ლ. ლაბახუა, შინკუბა, ჟვანია, ნ. მიქავა, კანონიდი, გ. გულია. ქართველი პოეტები პ. სამსონიძე, ს. ეული, ვ. გაფრინდაშვილი, მ. პატარიძე, ვ. გაბესკირია, ი. აბაშიძე, დ. გაჩეჩილაძე, კ. ნადირაძე, ვ. კორგაძე, გ. ცეცხლაძე წაიკითხავენ თარგმანებს ქართულ ენაზე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ს. ჩანბა

აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

აფხაზური ლიტერატურა

აფხაზეთის მშრომელებმა, რომლებიც მთელი საუკუნის მანძილზე დაბეჩავებული იყვნენ ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკით, საბჭოთა ხელისუფლების დროს მიიღეს პირველად შესაძლებლობა თავისუფლად განვითარებინათ თავისი კულტურა.

ლენინურ - სტალინური ნაციონალური პოლიტიკის უარყვიდ გატარების შედეგად, ამიერკავკასიის რესპუბლიკებში სოციალიზმის გამარჯვების შესანიშნავი ორგანიზატორის ამხ. ბერიას ხელმძღვანელობით აფხაზეთის მშრომელებმა ააგეს თავისი საბჭოთა სკოლები, შეჰქმნეს თავისი დამწერლობა, თავისი ნაციონალური — საბჭოთა ლიტერატურა.

აფხაზური ენა მთებისა, ხეობისა, და ველების ენიდან გადაიქცა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ენად, პრესის, თეატრის, მხატვრული ლიტერატურის ენად.

აფხაზური დამწერლობა შეიქმნა გასული საუკუნის 60-იან წლებში რუსული ალფაბეტის საფუძველზე, და არა ქართული ალფაბეტისა, რომლის ყველა ნიშანი მთლიანად შეეფარდებოდა ჩვენს ბგერებს; მეფის მოხელეები ხელმძღვანელობდნენ მოლიტიკით: „გაჰყავი და იბატონე“, რათა ერთმანეთისაგან დაეშორებინათ ორი მომძე ხალხი, ჩამოერბინათ აფხაზეთის მშრომელები ქართველი ხალხის მდიდარი კულტურისა, მდიდარი ლიტერატურისაგან.

აფხაზეთის მშრომელებმა, რომლებიც ასი წლის მანძილზე ცარიზმის უღლის ქვეშ გმინავდნენ და არ ჰქონდათ თავისი ლიტერატურა, საბჭოთა ხელისუფლების დროს შექმნეს და ქმნიან თავის ლიტერატურას, რომელსაც განვითარების უაზღვრო პერსპექტივები აქვს.

აფხაზური წერილობითი მხატვრული ლიტერატურა დაკავშირებულია გლეხთა წრიდან გამოსული პოეტის დ. ი. გულიას სახელთან. მისი შემოქმედების ბაზა და სტიმული იყო შესანიშნავი ხალხური შემოქმედება. დ. გულიამდე არ არსებობდა აფხაზური წერილობითი ლიტერატურა, მაშასადამე არ იყვნენ მწერლები - კლასიკოსები, რომლებისგანაც მას შეეძლო ესწავლა. მისი კარგი მაწავლებელი იყო აფხაზური ხალხური შემოქმედება, რომელსაც ის ხშირად მიმართავდა, სწავლობდა და აგროვებდა. ხალხური ჰანგებით არის გამსჭვალული მთელი მისი შემოქმედება და ამტომ მისი ლექსის ბგერადობა, მისი ფორმა უმაღლეს საფეხურამდე არის აყვანილი.

ამაზე ლაპარაკობს, მაგალითად, მისი ლექსი „ხოჯან-დუ“. ამ ლექსში ავტორი ამთარხებს ადგილობრივ თავადაზნაურობას. ეს ლექსი გაჟღენთილია სიძულვილით მშრომელი ხალხის მტრების მიმართ.

მეორე ლექსში — „მტაცებელი“ დ. გულია სამარცხვინო ბოძზე აკრავს მშრომელი ხალხის ექსპლოატატორებს, რომლებიც გლეხობის ხარჯზე სცხოვრობდნენ და მთელ თავის დროს ქეიფში ატარებდნენ.

ეს ლექსი დაწერილია 1907 წელს. მაგრამ იმ პერიოდის მის შემოქმედებაში გვხვდებოდა ისეთი ნაწარმოებებიც, რომლებიც გამსჭვალული იყო იდეალისტური და მისტიკური თემატიკით.

1918 წლიდან დ. გულიას შემოქმედებაში იწყება მკვეთრი მობრუნება. ის თავისი შემოქმედებით აღიარებს სიძულვილს ადგილობრივი თავად-აზნაურობისა და მენშევიკების მიმართ.

ამჟამად დ. გულია სოციალისტურ მშენებლობას უმღერის. მისი ლექსები და შაირები ამხელენ კულაკებს და საკოლმეურნეო ცხოვრების ახალ გამარჯვებებისაკენ მოგვიწოდებენ.

ამჟამად ის მუშაობს დიდ რომანზე „ქამაჩიჩი“ აფხაზეთის ქალთა ცხოვრებიდან. რომანის პირველი ნაწილი უკვე დამთავრებულია.

დ. გულიას ოსტატობა ლექსის დამუშავებისა და ფორმის მხრივ მაგალითის მიმცემია აფხაზეთის ახალგაზრდა პოეტებისათვის. და ისინიც სწავლობენ მისგან ოსტატობას, სიმარტივეს და ხალხურობას.

მე წილად ხვდა ბედნიერება ყოფილიყავი აფხაზური ლიტერატურის გამგრძელებელი, აფხაზური დრამატურგიის წამომწყები. დავსწერე ისტორიული ხასიათის რამდენიმე პიესა: „მახაჯირები“, „ქერატა“, „აფსნი ხანონ“ და სხვ.

გარდა ამისა, მე ვმუშაობ მხატვრული პროზისა და პოეზიის დარგში. ჩემი უკანასკნელი დროის ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია „საფიკი“, რომელიც გამოსატავს კლასობრივ ბრძოლას აფხაზეთის სოფელში კოლმეურნეობების ჩასახვის პერიოდში.

თუ რევოლუციამდე აფხაზეთში იყო მხოლოდ ერთი პოეტი, დ. გულია, რევოლუციის შემდეგ აფხაზურმა ლიტერატურამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1932 წლის 23 აპრილის ისტორიულმა გადაწყვეტილებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ლიტერატურული ორგანიზაციების გარდაქმნის საქმეში და მძლავრი ბიძგი მისცა საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის, მათ შორის აფხაზური ლიტერატურის განვითარებას.

ამ დროიდან იწყება აფხაზური ლიტერატურული ორგანიზაციის ცოტად თუ ბევრად გეგმაშეწონილი ძიებობა. ამ დროს ჩვენ მცირე დახმარებას როდი გვიწევდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი, რომლის წარმომადგენლებიც გვეხმარებოდნენ ჩვენი ლიტერატურული ორგანიზაციის განმტკიცებაში.

პირველ ხანებში ჩვენი ორგანიზაცია ძალიან ცოტა მწერლებს აერთიანებდა. ჩვენ მუშაობა გავშალეთ აფხაზეთის სკოლებში შექმნილ ლიტერატურულ წრეებში. ვრაზმავდით მათ ჟურნალ „აფსნი ჯაშის“ გარშემო. ჩვენ მუშაობას ტყუილა არ ჩაუვლია. ჩვენ გამოვზარდეთ ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა: კვიციანია, ლაბახუა, გიორგი გულია, შინკუბა, კოკოსკერია, ბგაჟბა, სანგულია, პაპასკირი, ჯაფუა, მიქავა, ჟვანია, კორვანიდი და სხვ. ახალგაზრდა აფხაზი მწერლებიდან ყველაზე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს პოეტებს ლევარსამ კვიციანიას, ლეონტი ლაბახუას და ბაგრატ შინკუბას.

კვიციანია — ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტია, კომკავშირელი. მის ქალამს ეკუთვნის: „ლენინი“, „ზარიზანი“, და „დაური“. მაგრამ კვიციანიას ნიჭი ყველაზე მეტად გამოქალავდა მშვენიერ ლექსში „ჩემი სტალინი“, რომელიც შევიდა კრებულში „ქართული ლექსები და სიმღერები სტალინზე“. ოსტატობა და ანრის სიღრმე, უბრალოება და პოეზიისათვის ესოდენ საჭირო უშუალობა ფრიად საინტერესოდ ხდიან ამ ორიგინალურ ლექსს.

მეორე ახალგაზრდა პოეტის ლ. ლაბახუას შემოქმედებაში სჭარბობს ლირიკა, ბერძენ ენაზე ბეჭდავს ლექსებს, ბერძენ ენაზე ბეჭდავს ლექსებს, ბერძენ ენაზე ბეჭდავს ლექსებს

10 ივნისს თბილისში დაიწყო საკოლმეურნეო ბაზრობა ხურარაზე: სტალინის რაიონის ბაზარი.
ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

ილიას საიუბილეო საღამოები

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

11 ივნისს ქუთაისის სახელმწიფო აკადემიურ თეატრის შენობაში გაიმართა ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

პარტიის საქალაქო კომიტეტის კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილების გამგის ამხ. ა. ბრეგვაძის შესავალი სიტყვის შემდეგ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისა და ცხოვრების შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა პროფ. ვახტანგ კოტეტიშვილი.

მოგონებებით გამოვიდნენ პოეტის შირადი ნაცნობები — მესხი, თომაშვილი და ბზვანელი. ილიასი და ილიასადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს მწერლებმა: თომაშვილმა, ი. ხოშტარიამ, გ. გიასელმა, შ. ჩარკვიანმა, ალავიძემ და სხვებმა.

შემდეგ მუსიკალურ-ტექნიკუმის სტუდენტებისა და პედაგოგების მონაწილეობით გაიმართა კონცერტი. შესრულებულ იქნა მრავალი სიმღერა, დაწერილი ილიას ნაწარმოებთა მიხედვით და სხვ.

კონცერტის მეორე განყოფილებაში გამოვიდა ქუთაისის სახალხო მომღერალთა აკადემიური გუნდი ლ. ტბარ კუხიანიძის ხელმძღვანელობით.

თᲔᲚᲐᲕᲨᲘ

9 ივნისს, ქ. თელავში, ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრში მოეწყო დიდი ქართული მწერლის ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო.

საღამო, რომელსაც 500-ზე მეტი კაცი დაესწრო, შესავალი სიტყვით გახსნა საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ, განათლების განყოფილების გამგემ ამხ. კ. გეგელიძემ. მოხსენება ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაზე გააკეთა მწერალთა კავშირის წარმომადგენელმა პოეტმა სიმონ ჩიქოვანმა.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კონცერტი. სრული საშუალო სკოლის მოწაფეებმა კოკოშაშვილმა, ჭუმბურიძემ, გრიშკაშვილმა და ბაკურაძემ წაიკითხეს ილიას ლექსები და რჩეული ადგილები პოემებიდან. მოწაფემ მ. ჟვანიამ წაიკითხა ილიასადმი მიძღვნილი ლექსები: თომაშვილმა, ი. ხოშტარიამ, გ. გიასელმა, შ. ჩარკვიანმა, ალავიძემ და სხვებმა.

შემდეგ მუსიკალურ-ტექნიკუმის სტუდენტებისა და პედაგოგების მონაწილეობით გაიმართა კონცერტი. შესრულებულ იქნა მრავალი სიმღერა, დაწერილი ილიას ნაწარმოებთა მიხედვით და სხვ.

კონცერტის მეორე განყოფილებაში გამოვიდა ქუთაისის სახალხო მომღერალთა აკადემიური გუნდი ლ. ტბარ კუხიანიძის ხელმძღვანელობით.

ᲡᲐᲥᲙᲕᲔᲑᲛᲨᲔᲜᲘ

საქართველოს სახალხო კომისარიატის საბჭოს დადგენილებით, კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში შექმნილია საალმშენებლო-სამონტაჟო ტრესტი, „საქკვებმშენის“ სახელწოდებით.

ახლად დაარსებული ტრესტი აშენებს 12 ახალ ჩაის ფაბრიკას, ჩაის საწონ ფაბრიკას თბილისში, „საქართველოს ჩაის“ ათსართულიან სახლს ლენინის ქუჩაზე (თბილისში), შამპანურის ქარხანას ავჭალაში და უხელმძღვანელებს სხვა საალმშენებლო-სამუშაოებს კვების მრეწველობის დარგში.

სასამართლო

ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘ

1932 წელს ივანე არობელიძე გადასახლებიდან დაბრუნდა ძმაბავშვებთან ერთად, უმდიდ ... ...